ახალი მოკოლაჟი

ნოემბერი 2010 №65
ფასი 5 ლარი

ისტორიები

ელისო ვირსალაძე

რატი ამაღლობელი

ზურა ლეჭავა

შოთა გაბარინი

ფეისბუკის სახე

ხოსე ანტონიო ვარგასი

ესეი

ბაირონიის დღიური

ლაშა ბულაძე

სოლიდარობის პოლონეზი

ლევან ბერძენიშვილი

ლიტერატურა

წიგნები თბილისში

ISSN 1512-2220
9 771512 222006

მელანო სოხაძე

ყოველთვის ერთი პრობლემა მაქვს – პედაგოგი ჩემი ნამუშევრის განხილვას იწყებს და ამთავრებს მხოლოდ ფორმის კრიტიკით. არადა, ვფიქრობ, ხელოვნების მთავარი მიზანია, კითხვები წამოჭრას სოციალურ პრობლემებზე და ღირებულებების გადაფასებას შეეცადოს.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი ძირეული პრობლემა, რაც განვითარებად ქვეყნებს აქვთ, არის შეზღუდული მიმოსვლა და გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ნაკლებობა.

რაც დასავლეთში ჩამოვედი, მოლოდინისა და შეხედულებების გადაფასება ხშირად მიხდება – ის რეალობა, რომელიც აქ დამხვდა, განსხვავებული აღმოჩნდა ჩემი წარმოდგენებისგან. თუმცა, მთავარი ფასეულობები იგივე დარჩა.

ინფორმაციულ წყაროებში ჩვენ ევროპის იდეალურ, ილუზორულ სახეს გვიხატავენ. სინამდვილეში კი, საკითხის ფუნდამენტურ პრობლემებზე ღიად საუბრისას ხვდები, რომ „ევროპა“ ნელ-ნელა ხიბლს კარგავს. განვითარებული დასავლეთი, ჩემი აზრით, ზედაპირულად მოწესრიგებული, გამართული სისტემის შთაბეჭდილებას ტოვებს, სადაც ადამიანის უფლებები თითქოს დაცულია, სადაც თითქოს ყველა თანაბარუფლებიანია და ყველას აქვს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ეს, უბრალოდ, მოჩვენებითია. სოციუმი ისევ კლასებად არის დაყოფილი და თავის გადარჩენას ყველა სხვისი უკან დაწევით ცდილობს.

ამიტომ, არ მინდა განვითარების გზაზე მდგომი საქართველო იმ სისტემის უბრალო ასლი გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ LOTT-ს ერთობლივი პროექტები არ აქვს, ურთიერთობა და დისკუსიები არასდროს შეგვიწყვეტია. გვინდა, ისევ ერთად ვიმუშაოთ. მოსალოდნელია სხვა, ახალ არტისტებთან თანამშრომლობაც.

რაც შეეხება აქაურ სასწავლებელს, გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ მრავალი პრობლემა ჟენევის სასწავლებელში თბილისს მაგონებს. თუმცა, ამ ორ უმაღლეს სასწავლებელში შესაძლებლობებისა და პირობების შედარება შეუძლებელია. ჟენევაში, რაც მთავარია, ძალიან ადვილია კონტაქტის დამყარება სხვადასხვა ხელოვანთან თუ კრიტიკოსთან. ჟენევაშიც და თბილისშიც ყოველთვის ერთი პრობლემა მაქვს – პედაგოგი ჩემი ნამუშევრის განხილვას იწყებს და ამთავრებს მხოლოდ ფორმის კრიტიკით. არადა, ვფიქრობ, ხელოვნების მთავარი მიზანია, კითხვები წამოჭრას სოციალურ პრობლემებზე და ღირებულებების გადაფასებას შეეცადოს. ამაზე აქ, ისევე როგორც თბილისში, მსჯელობა იშვიათად ხდება. ძირითადად სწავლება ფორმალურ ანალიზზეა დამყარებული, რაც უმთავრესად არტ-ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება. ხელოვნების მყიდველი მდიდარი ადამიანია, რომელსაც არანაირად არ სჭირდება კრიტიკული ნამუშევარი იმ სისტემაზე, რომელსაც თავად არის კარგად მორგებული. განსხვავებულ არტისტს კი, რომელიც კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს, მარკეტი არ ცნობს.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს ვურჩევდი, ბრმად არ დაუჯერონ აკადემიის პედაგოგებს და ეცადონ, სხვადასხვა წყაროებიდან მოიპოვონ ინფორმაცია. დაივიწყონ მხოლოდ ფორმაზე ზრუნვა და იფიქრონ იმაზე, თუ რისი თქმა უნდათ თავიანთი ნამუშევრით, რა არის მათი პოზიცია. კარგია, თუ იმაზე, რაც აკადემიაში არ მოსწონთ, ღიად ისაუბრებენ და ყოველთვის ეცდებიან, იდეების გარშემო გაერთიანდნენ.